საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის

ბრძანება №25075

2024 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულების“ (დანართი №4) მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კომპეტენციის ფარგლებში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარების, მართვის და მომსახურების სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;“;

ა.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) პროგრამის მომხმარებლებისთვის დეტალური მანუალების (მომხმარებლის სახელმძღვანელოების) მომზადება, პროგრამის ფუნქციონალთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში ახალ პროგრამულ პროდუქტებზე მომხმარებლებისთვის ტრენინგების ჩატარება.“;

ბ) 1^1 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ცენტრის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის უზრუნველყოფა და შესრულების კონტროლი;“;

ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პროექტების მართვისთვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფაში პროექტების აღრიცხვა, მართვა, საჭიროებისამებრ ცვლილების ინიცირება და მონიტორინგი;“;

ბ.გ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“-„ლ“ ქვეპუნქტები:

„ზ) ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მომზადება;

თ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების მოდელირების, ოპტიმიზაციის, დოკუმენტირების, სტანდარტიზაციისა და სისტემატური განახლების უზრუნველყოფა;

ი) პროექტების მართვისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრირება და შესაბამისი წესების შემუშავებისა და დანერგვის უზრუნველყოფა;

კ) თანამშრომელთა გადამზადების და განვითარებისთვის შესაბამისი წინადადებების შეგროვება და ინიცირება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა და მათ დასანერგად წინადადებების შემუშავება.";

გ) მე-4 პუნქტის:

გ.ა) „ო" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) შემოსავლების სამსახურის სისტემაში კომპიუტერული ვირუსების აღმოჩენის შემთხვევაში სსიპ – შემოსავლების სამსახურის „ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურის" შესაბამისად მოქმედება და სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის/ოფიცრის ინფორმირება;";

გ.ბ) „ჟ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ" ქვეპუნქტი:

„რ) შემოსავლების სამსახურისთვის შესასყიდი კომპიუტერული, ქსელური და სხვა დამხმარე მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლების ფინანსური დეპარტამენტისთვის მიწოდება.".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი **ლევან კაკავა**